**სამუშაო შეხვედრები საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებთან**

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკო) საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის სამუშაო შეხვედრები გაიმართა.

საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) შემდეგ საკითხებს გაეცნენ: საკანონმდებლო სიახლეები, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი, საინფორმაციო კურსი „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ქცევის ზოგადი წესებისა და პროფესიული ეთიკის შესახებ“, საარჩევნო სარეგისტრაციო პროცედურები და რეგისტრაციები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ლოგისტიკა და სხვ.

შეხვედრებს, რომელიც 15-29 ივნისს გაიმართა, ცესკოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ტრენერები უძღვებოდნენ.

**დამატებითი ინფორმაცია:**

http://electionreforms.ge/geo/list/show/3120-samushao-shekhvedrebi-saolqo-saarchevno-komisiebis-khelmdzghvanel-pirebtan